# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—ოთხშაბათი, 10 მაისი 1900 წ. № 1120

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—33)


## ახალი ამბავი

✦ ქუთაისიდან მოგვივიდა გუშინ შემდეგი **დეპეშა**: „არჩევნები დასრულდა ოპოზიციის სრულის გამარჯვებით; მისი კანდიდატი თავ. სიმონ წერეთელი ისევ არჩეულ იქმნა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად 199 ხმით წინაალმდეგ 37; მოწინაალმდეგეთა კანდიდატს დავით ბაქრაძეს ამოუვიდა 160 შავი კენჭი და 74 თეთრი“.

✦ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „ქუთაისის **სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** ზედამხედველი კომიტეტი აცხადებს, რომ, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება, დანიშნული 30 მაისისათვის, აღარ შესდგება“.

✦ იმავე გაზეთში აღწერილია ის **საზარელი მკვლელობა**, რომელიც მოხდა ამას წინად ტფილისში. როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, 14 აპრილს ვიღაცას გაეგზავნა ტფილისიდან ოდესაში დიდი ყუთი, რომელზედაც ეწერა „თუშური ყველი“-ო. ბათუმში, სადგურზე, ყურადღება მიაქციეს ამ ყუთს, რადგან საშინელი სუნი ასდიოდა, და პოლიციის დასწრებით გახსნეს იგი. ყველის მაგიერ ყუთში მოკლულის კაცის გვამი იდვა. თავი მოცილებული ჰქონდა გვამს, პირისახეზე კანი ამძვრალი, ცხვირი მოჭრილი; თავზე კაცს შერჩენოდა მხოლოდ თმა, ქვეითა ყბა, წვერი და მარცხენა ულვაში. ფეხები მუხლებს ქვევით მოჭრილი ჰქონდა და იქვე ყუთში ელაგა ნაჭრებში გამოხვეული. გულზე მოკლულს 12 ჭრილობა აღმოუჩნდა. მარჯვენა ხელი მუცელში ჰქონდა ჩარჭობილი. მოკლულიდან ბათუმში გადაიღეს ფოტოგრაფიული სურათი და შემდეგ დაასაფლავეს იგი; ტფილისში-კი გამოგზავნეს მისი თეთრეული, ფუფაიკა, ყუთი, კლიონკა ადგილ-ადგილ გამწვარი და ნაჭრები, რომელშიაც გამოხვეული იყო მოკლულის გვამის ნაწილები. ტფილისში პოლიცია მაშინვე შეუდგა მკვლელობის აღმოჩენას და ამ ჟამად იცის ყოველივე, გარდა თვით მოკლულისა, რომლის ვინაობაც ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის მოცული. თავდაპირველად პოლიციას ეგონა, რომ მოკლულია ვაჭრის ცოლის ა—ს ნოქარი ვლადიმერ გ—ძე, რომელმაც 5 აპრილს 281 მან. მიიღო ა—საგან ბანკში შესატანად, ეს ფული არ შეიტანა და თვითონაც სადღაც გაჰქრა; შემდეგ პოლიციამ შეიტყო, რომ ვლადიმერ გ—ძე დიდი მეგობარი იყო ვანო ც—ძისა (ღვიძლი ძმა კატორღაში გაგზავნილის ც—ძისა, რომელმაც მოჰკლა და გაძარცვა ტფილისში ურია მესაათე რაშკევიჩი) და ერთად ხშირად დადიოდნენ ნიკ. კირაკოზოვის დუქანში, ავჭალის ქუჩაზე. ბოქაულმა ზაზულევიჩმა ყურადღება მიაქცია დუქანში სტოლებზე გადაფარებულ კლიონკებს: მათი სურათი (ლომები) ძალიან წააგავდა იმ კლიონკის სურათებს, რომელიც ბათუმიდან გამოგზავნეს და რომელშიაც მოკლული იყო გახვეული. წარუდგინეს ეს კლიონკა კირაკოზოვის დუქანში მსახურს 14 წლის ბიჭს სოლომონ სიდამონიძეს და იმან სთქვა, რომ ეგ კლიონკა დაიკარგა ჩვენ დუქნიდან ვნების კვირაშიო, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც იქ ქეიფობდა ვლადიმერ გ—ძე ამხანაგებითო. დუქნის პატრონმაც თავისათ სცნო წარდგენილი კლიონკა. გამოძიების განგრძობამ ბოლოს აღმოაჩინა შემდეგი: ა—ს ნოქარი ვლ. გ—ძე, რომელიც სადღაც გაჰქრა და რომელსაც ახლაც დაეძებს პოლიცია, მოკლული კი არა ყოფილა, არამედ თვით ყოფილა მკვლელი. მას, ვანო ც—ძეს, და ორ ჯერ-ჯერობით უცნობთ მოუკლავთ ნიკ. კირაკოზოვის დუქანში, დიდ ხუთშაბათის წინა ღამეს, ვიღაც უცნობი კაცი. საღამოს 10 საათზე ვლადიმერ გ—ძეს და ორ სხვასს მოეყვანად დუქანში ვიღაც კარგად, ევროპიულად ჩაცმული კაცი, ასე 35 წლისა. სოლომონ სიდამონიძის სიტყვით, მას ბევრი ოქროს და ქაღალდის ფული ჰქონდაო. მათ დაიწყეს ვახშმობა და ღვინის სმა. ვანო ც—ძე და ვლადიმერ გ—ძე რაღაცას უყრიდნენ უცნობ „ბატონს“ ღვინოში და ის უცბად დათვრა. შემდეგ ის გაიყვანეს მეორე ოთახში და დააწვინეს ტახტზე. დუქანი დაჰკეტეს. ც—ძემ უბრძანა ბიჭს სიდომონიძეს—დაიძინეო და თავზე საბანი გადააფარა. მალე მძინარე „ბატონს“ პირში ცხვირსახოცი ჩაუდვეს და ოთხი კაცი ეძგერა მას. ვლადიმერ გ—ძემ ყელში წაუჭირა ხელი და ხრჩობა დაუწყო. ც—ძე ეხმარებოდა, ორს დანარჩენს ხელები და ფეხები ეჭირათ მსხვერპლისა. გ—ძემ აიღო ბებუთი და რამდენჯერმე დასცა იგი გულში უბედურს; ც—ძემ გამოართვა ბებუთი და ყელი გამოსჭრა. სიდომონიძე შიშისაგან კანკალებდა, მაგრამ ყოველისფერს ხედავდა კარის ჭუჭრუტანიდან. ის კარგა ხანს უცქეროდა, როგორ „ულმერთოთ სჭრიდნენ ადამიანს ნაწილ-ნაწილ“ ის მხეცები. დილის 3 საათზე ყოველივე აწყნარდა. გათენებისას ც—ძემ „გააღვიძა“ სიდომონიძე და რაღაცაზე გარეთ გაგზავნა. შეშინებული ბავშვი მაშინვე გაიქცა ძმასთან ავლაბარში, მაგრამ არავის არაფერი უთხრა შიშით. გაისტუმრეს თუ არა ბავში, მკვლელებმა მარილი წააყარეს მოკლულს, ჩაალაგეს მოჭრილი ნაწილები და გვამი ყუთში და წაიღეს იგი დუქნიდან. მოკლულის ტანისამოსი ნაჭერ-ნაჭერ აქციეს და ნაგავთან ერთად მუშას გადააყრევინეს მტკვარში; სისხლი მორეცხეს იატაკსაცა და ტახტზედაც. პოლიციამ მაინც ნახა სისხლის კვალი იატაკზე, ტახტზე და მუთაქაზე. ქუთაისის პოლიციის ცნობით, ვლ. გ—ძე აღდგომა დღეებში ქუთაისის მაზრის სოფ. ძირზილეთში ყოფილა და შემდეგ ბათუმს წავიდაო. ამგვარად, ამ საშინელის მკვლელობის ჩამდენთაგან—ორის ვინაობა ჯერ არ იციან, ერთი გაიქცა და მხოლოდ ერთია, ც—ძე, დაჭერილი. არაფერი იციან აგრეთვე უბედურ მსხვერპლის შესახებ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი *)

**ვისბადენი** რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად გამართულ სადილზე იმპერატორს ვილჰელმს ეცვა რუსეთის სამხედრო მუნდირი და წმ. ანდრიას ლენტი ჰქონდა გაკეთებული.

**ტრიესტი.** დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ინახულა გემზე პროვინციის მმართველი გესსა.

**პრეტორია.** ინგლისის ჯარი შევიდა მეფკინგში ოთხშაბათ ღამეს. დელარეი მთელი დღე ებრძოდა მტერს და არ უშვებდა წინ; მაგრამ ღამე ერთმა მისმა ოფიცერმა სარდლის დაუკითხავად დაიწია უკან და ამგვარად გზა დაუცალა ინგლისელთ.

**ნიუ-კასტლი.** კლერი წავიდა თავის რაზმით იტგოგისაკენ, დენდონალდი—ლენგონეკისაკენ. ინგლისელები თითქმის დაეწივნენ ბურების უკანა რაზმებს. რამდენიმე ბური ტყვედ წაიყვანეს რამდენიმე ფურგონიც წაართვეს.

**ვაშინგტონი.** ბურების მისსია მრავალმა ხალხმა ინახულა სადგომში. ფიშერს იმედი აქვს, რომ ამერიკელთა მთავრობის დახმარებით შეიძლება შეჩერებულ იქმნას ომი. მისსიას სწამს, რომ შეიძლება საპატიო ზავის შეკვრა, ამერიკა ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელ-

*) მიღებულია 9 მაისს.

ლსაც შეუძლიან ამ საქმის დაგვირგვინება.

**კაპშტადტი.** ბურებმა ააფეთქეს ტონელი ლენგონეკთან

**პრეტორია.** კრიუგერმა შეატყობინა უცხოელ კონსულებს, რომ ბურები დაიცავენ იოჰანესბურგს. ის პასუხს არ აგებს, თუ უცხოელთ ან მათ ქონებას რაიმე ზიანი მიეცემა. შემდეგ ის იტყობინება, რომ წინადადება მისცა რობერტსს ტყვეების გაცვლის შესახებ.

**ლორენცო-მარკეზი.** ტრანსვაალის მთავრობამ დაადგინა ოფიციალურად აცნობოს რობერტსს, რომ იგი წინადადებას აძლევს ინგლისს ომიანობის შეწყვეტის შესახებ; მაგრამ ინგლისმა უნდა აღუთქვას, რომ ხელს არ ახლებს კაპის და ნატალის ახალშენების იმ მცხოვრებთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ბურებს; წინააღსდეგ შემთხვევაში ბურები ააფეთქებენ მაღნებს და მიწასთან გაასწორებენ იოჰანესბურგს.

**ოდესა.** ძეგლის გახსნის დღესასწაული დასრულდა მშვენიერის ნადიმით, რომელიც ქალაქმა გამართა ქალაქის დარბაზში. მეთერთმეტე საათზე მოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავ. ობოლენსკი, გენ. ბოგდანოვიჩი და სხვა საპატიო სტუმრები. ქალაქის მოურავემა დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა; საზოგადოებამ იგრიალა „ურა“ და მუსიკამ დაუკრა საეროვნო ჰიმნი. შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები თავ. ობოლენსკიმ, გენ. ბოგდანოვიჩმა და ხერსონის საერობო გამგეობის თავმჯდომარემ ანდრეევსკიმ.

**კრონშტადტი.** დევეტმა გამოაცხადა, რომ მზად არის დაჰყაროს იარაღი და თავის ჯარით დანებდეს ინგლისს.

**ბერნი.** ერის უმრავლესობამ უარჰყო სავალდებულო დაზღვევა ავადმყოფობისაგან და უბედურ შემთხვევისაგან.

**ლისსაბონი.** მტკიცდება ცნობა, რომ ტრანსვაალის მთავრობას მიუწერია პორტუგალიის კონსულისათვის—დასტოვე ტრანსვაალის ტერრიტორიაო, და მხოლოდ ცოტა ვადა მიუცია ცოლის ავადმყოფობის გამო.

**პარიზი.** სენის დეპარტამენტის საბჭოში აურჩევიათ 7 ნაციონალისტი, ერთი დამოუკიდებელი სოციალისტი, ერთი სოციალისტრევოლიუციონერი და 7 რადიკალი და სოციალისტი. ოთხ კაცს ხელმეორედ უნდა უყარონ კენჭი. 82 დეპარტამენტში ქალაქის არჩევნები ასე დასრულდა: 33.942 თემიდან 24.832 თემში უმრავლესობა რესპუბლიკანელთ ეკუთვნის, 8519 თემში—რეაქციონერებს, 153 თემში ნაციონალისტებს და 438 თემში უმრავლესობა გამოურკვეველია. რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს 1004 თემი.

**კრონშტადტი.** რობერტსი იტყობინება, რომ მას არ მიუღია ოფიციალური ცნობა მეფკინგის განთავისუფლების შესახებ და რომ მან ეს ამბავი სააგენტოს დეპეშებიდან შეიტყო. რენდლმა დაიჭირა ბესტერსფლატი, ტრომმელი, კლოკოლანი და პოლანი მის შემდეგ, როდესაც მტერმა უკან დაიწია. ბოსგოფთან ინგლისელებს დანებდა ერთი ფელდკორნეტი და 86 ბურგერი.

**ვენა.** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე 5 მაისს ვარშავაში გაემგზავრა.

**კრონშტადტი.** ინგლისის ფურგონებს, სურსათ-სანოვაგით დატვირთულთ, თავს დაესხა მტერი, როდესაც ლინდლეისაკენ მიდიოდნენ. ფურგონები შეაჩერეს.

**ლონდონი.** ვაჭრობის სამინისტრომ მიიღო ბერლინიდან საჩუქრები, რომელთაც ვილჰელმი უგზავნის გერმანიის სამის გემის ოფიცრებსა და მატროსებს; ამ გემებმა დახმარება აღმოუჩინეს და დაღუპვისაგან გადაარჩინეს 1899 წლის თებერვალში გერმანიის გემი „ბულგარია“.

ამბობენ, რომ სოლსბერიმ დეპეშა მიიღო კრიუგერისაგან მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ.

**კრონშტადტი.** დევეტმა გამოუცხადა რობერტსს, რომ ათასი კაცი იარაღს დაჰყრის ეხლავეო, თუ მათ ნება მიეცემა თავიანთ სახლებში წასვლისაო. რობერტსმა უპასუხა, რომ ბურები უნდა დანებდნენო უპირობოთ. რობერტსის ჩქარმა მოძრაობამ შეუშალა ხელი ბურებს და სრულიად მოსპო მათი გეგმა. რობერტსი ელის ახლა სურსათ-სანოვაგეს და მაშინვე გასწევს წინ.

**ლორენცო-მარკეზი.** აქ მოხდა შეტაკება ჰოლანდიელთა გემის მატროსებისა და პორტუგალელ პოლიციელთა შორის; უკანასკნელებმა იხმარეს ხიშტები და მძიმედ დასჭრეს სამი მატროსი.

მეფკინგის ირგვლივ მდგომი ბურების ჯარი ყველა ზარბაზნებით დანებდა ინგლისელთ. ინგლისელებმა უბრძოლველად დაიპყრეს კლერსდორპი.

9 მაისი.

**პეტერბურგი.** ჟანდარმთა კორპუსის უფროსი თავ. სვეტოპოლკ-მირსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

**ლონდონი.** პოლკოვნიკს ბადენ-პაულს ებოძა გენ.-მაიორობა. მილლერის დეპეშაში მეფკინგის განთავისუფლების შესახებ ნათქვამია, რომ ჯარი, რომელმაც გაანთავისუფლა მეფკინგი შესდგებოდა 2300 კაცისაგან მეგონის წინამძღოლობით.

**ვაშინგტონი.** ბურების დელეგაცია დიდის ამბით იქმნა მიღებული. ოფიციალური პირები არ იყვნენ, მაგრამ სენატორები ბევრი იყვნენ. სენატორმა სელცერმა სიტყვით მიჰმართა დესპანთ და უთხრა, რომ ცხრა მეათედი ამერიკელებისა ინგლისის წინააღმდეგიაო; კაცთ-მოყვარეობა გვაიძულებს ვიზრუნოთ მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. ბოლო უნდა მოეღოს ინგლისის ძალმომრეობას. ფიშერმა ისევე განიმეორა, რაც ნიუ-იორკში წარმოსთქვა. ერთმა ორატორთაგანმა ძლიერ გაჰკიცხა ინგლისის მთავრობა და სთქვა: „ჩაერევა ამერიკა ომში თუ არა, საჭიროა მოიძებნოს საშუალება, რათა ბოლო მოეღოს ცივილიზაციის წინააღმდეგ საქმეს“.

**კრონშტადტი.** ბულლერი იტყობინება, რომ მისი წასვლა შეფერხდა რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭების გამო. რენდლი იტყობინება, რომ დაიჭირა ლედი ბრანდი.

**კიმბერლეი.** მეტუენი წავიდა გობსტადტიდან, რათა შეუერთდეს გენტერს.

**ტიანძინი.** საფრანგეთის გემი მოვიდა ტაკუს. ადმირალი კურჟოლი წავიდა პეკინს თავის ამალით.

**ლონდონი.** პალატა. ჩემბერლენი ამბობს, რომ სიხარულით აუწყებს პალატას ავტრალიელებთან საიდუმლო საბჭოს შესახებ შეთანხმებას. პალატამ ერთ-ხმად მიიღო კანონ-პროექტი ავსტრალიის ფედერაციის შესახებ.

**ვაშინგტონი.** გეიმ გამოუცხადა ბურების მისიას, რომ მაკ-კინლეი საქმეთა მდგომარეობის გამო იძულებულია დაიცვას ნეიტრალიტეტი ინგლისისა და ბურების ომში. გეიმ მიიღო მისსია არა ოფიციალურად გარეშე საქმეთა სამინისტროში. იქ მისსიამ დაჰყო ერთი საათი. მისიის წევრებმა გამოუცხადეს ჟურნალისტებს, რომ ჯერჯერობით ვერაფერს ეტყვიან მათ. სენატმა დაადგინა აუკრძალოს ბურების დესპანთ სენატის სხდომებზე სიარული მას შემდეგ, რაც დევისმა დაამტკიცა, რომ დესპანები მოგზაურობენ ამერიკაში და აგიტაციით სურთ მოიმხრონ ხალხი.

**ბუდა-პეშტი.** საბიუჯეტო კომისსიამ განიხილა კრედიტი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის და დაამტკიცა იგი სრულიად. ერთის ორატორის კითხვაზე—შემცირდა თუ არა ბოსნიელების სიძულვილი ავსტრიელებისადმი, მინისტრმა კალაიმ უპასუხა, რომ ბოსნიის და ჰერცოგოვინის მცხოვრებათა უმრავლესობა კმაყოფილია აწინდელის მდგომარეობით. შემდეგ კომისიამ შეიწყნარა საგანგებო სამხედრო ბიუჯეტი.

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა წლის 12 მაისს, დანიშნულია ვაჭრობა სამუშაოზე ელისაბედის ქუჩის გასაკეთებლად დიდუბიდან გერმანელთა ახალშენამდე—1000 მანათისა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. ნ. 3—2

**ვექილი**

**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—3)

გამომც. გ. ბუხნაა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мая, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.